დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

ავტორი: ბაჩო გაბაიძე

თბილისი

2015

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. ის მომდინარეობს ძველი რომიდან, რომელშიც მონაწილეობდა ორი სუბიექტი: პირი რომელიც ასრულებდა სხვის საქმეს (გესტორი) და მეორე პირი, რომლის საქმესაც ასრულებდნენ (პრინციპალი; ასევე დომინუსი - *dominus*), ხოლო ამ აქტს ეწოდებოდა - ***Negotiorum gestio.*** აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ რომში კანონი ავალდებულებდა გესტორს რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაეცვა მისი მეზობლის და მეგობრის ქონება, თუ ამ უკანასკნელს თავად არ შეეძლო საკუთარი ქონების საფრთხისგან დაცვა.[1]ამ ინსტიტუტის შემოღება და განვითარება განაპირობა სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებმა და ადამიანთა შორის ურთიერთდახმარების და სოლიდარობის იდეამ, რომელიც ამ ინსტიტუტის იდეოლოგიური საფუძველია. კანონის მიზანია ზოგადი სოციალური ინტერესები დაიცვას ისე, რომ ხელი არ შეუშალოს გესტორის კეთილშობილ საქმიანობას; ამასთან, დაიცვას მეპატრონის პიროვნება და ქონება უცხო პირთა ზიანის მომტანი თვითნებობისაგან. ამ ამოცანების განსახორციელებლად კანონი ადგენს სავალდებული მოთხოვნებს როგორც გესტორის, ისე მეპატრონისათვის.[2]რადგან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას სახეზე გვაქვს გესტორის მხრიდან რაღაც დოზით თვითნებობა, „საქმეების“ ქვეშ იგულისხმება შემსრულებლის მიერ როგორც ფაქტობრივი(მაგალითას,სხვისი სახლის შეკეთება), ისე იურიდული აქტების განხორციელება (მეპატრონის ინტერესებისათვის გარიგება დადება). „დავალების ან სხვა საფუძვლის გაერშე შესრულება“ გულისხმობს, რომ შემსრულებელი სხვის საქმეებს წარმართავს, სხვის ქონებრივ სფეროში ერევა ისე,რომ საამისოდ არც მოვალეობა აკისრია და არც უფელბამოსილება გააჩნია. ჩვეულებრივ პირობებში ასეთ პირს სხვისი საქმეების შესრულება არ უნდა ხელეწიფებოდეს, მაგრამ კანონი მსგავს ჩარევას აღიარებს, თუ ისინი განხორციელდა განსაზღვრულ ვითარებაში, მეპატრონის ინტერესებისათვის და შემსულებლის კეთილი ნებით. რადგან „საქმეების შესრულების ქვეშ იგულისხმება როგორც ფაქტორბივი,ისე იურიდიული აქტების განხორციელბა,მაგრამ ამგვარი აქტების შემსრულებელი პიროვნება განსაზღვრულ სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს-ფაქტობრივი მოქმედებები შეიძლება ქმედუუნარო პირმაც განახორციელოს.ამასათან,შემსულებელი და მეპატრონე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წარმომადგენლობის ინსტიტუტისაგან განასხვავებს ის ,რომ წარმომადგენელი პრინციპალის თანხმობით და სახელით ასრულებს იურიდიულ მოქმედებებს, მაშინ როცა გესტორი მეპატრონის ინტერესებისათვის საკუთარი სახელით ახორციელებს როგორც ფაქტობრივ,ისე იურიდიულ აქტებს. შემსურლებლის მდგომარეობა განსხვავდება დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რწმუნებულის მდგომარეობისგან, რადგან რწმუნებული მოქმედებს, თუმცა საკუთარი სახელით,მაგრამ მარწმუნებლის დავალებით მინიჭებული უფლებამოსილებით. შემსრულებლის მდგომარეობა რწმუნებულისას მხოლოდ მას შემდეგ დაემთხვევა, რაც მეპატრონე გაიგებს და მოიწონებს შემსრულებლის დაწყებულ საქმეს. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრუელბა თავისთავად შეიცავს წინააღმდეგობროვ

[2]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეოთხე ტომი მეორე

მომენტს.ერთი მხრივ,საქმე გვაქვს გესტორის მიერ მეპატრონის უფლებების სფეროში თვითნებურ ჩარევსათან; მეორე მხრივ ეს ჩარევა ხორციელდება მეპატრონის ინტერესებისათვის.კანონის მიზანია ზოგადი სოციალური ინტერესები დაიცვას ისე,რომ ხელი არ შეუშალოს გესტორის კეთილშობილ საქმიანობას; ამასთან დაიცვას მეპატრონის პიროვნება და ქონება უცხო პირთა ზიანის მომტანი თვითნებობისაგან.

კანონი უპირველეს მთხოვნად მიიჩნევს-სხვისი საქმეების შემსრულებელი მოქმედებდეს კეთილსინდისიერად,ანუ ისე, როგრც მოცემულ საქმეს მეპატრონე ან მისი დავალებით სხვა პირი წარმმართავდა. 970-ე მუხლის პირველ პუნქტში შემსრულებელს პასუხისმგებლობა დაეკისრება განზრახვისა და უხეში გაუფთხილებლობის შემთხვევაში, როდესაც 992-ე მუხლი ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობას უბრალო გაუფთხილებლობის შემთხვევაშიც. თუ გესტორმა საქმეების შესრულებისას ჩვეულებრივი გაუფთხილებლობით მიაყენა ზიანი პრინციპალის ქონებას, ამ შემთხვევაში პრინციპალი ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძველზე, რადგან ბრალი არ არის სახეზე.

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებია: 1 - სახეზე უნდა იყოს ზიანი, 2 - ზიანი უნდა იყოს გამოწვეული სხვა პირისათვის რეალური საფთხის თავიდან აცილების გამო, 3 - საფრთხის თავიდან აცილება არ უნდა შეადგენდეს შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ შემსრულებელს ამ შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, როგორც უშუალოდ იმ პირისგან, რომელმაც გამოიწვია ეს ზიანი, ასევე იმ პირისაგან რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა.შემსრულებლის ვალდებულება - შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს საქმის შესრულების შესახებ და გააგრძელოს დაწყებული საქმე ვიდრე მეპატრონე არ შეძლებს თვითონ იმოქმედოს, გამომდინარეობს იმ კეთილსინდისიერების ვალდებულებისაგან, რაც შემსრულებელს აკისრია 969-ე მუხლის საფუძველზე. თუკი შემსრულებლისათვის ცნობილი გახდა პრინციპალისგან ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას, მაშინ მან სხვისი საქმეების შესრულება უნდა შეწყვიტოს.

მეპატრნის პიროვნების ან ქონებისათვის საფრთხის აცილება წარმოადგენს დავალების გარეშეს სხვისი საქმეების შესრულების კერძო შემთხვევას საფრთხის ქვეშ არა მოჩვენებითი,არამედ რეალური,როგორც ამწუთიერი ისე მოსალოდნელი საფრთხე, რომლის წყარო შესაძლოა იყოს როგორც ხდომილებები, ისე მოქმედებები. საფრთხე ხელყოფით უნდა ემუქრებოდეს მეპატრონის პიროვნულ ან ქონებრივ სიკეთეს.

საფრთხის აციელბის მიზნით შესრულებული მოქმედება,რომელიც მეპატრონის ან სხვა პირის ქონებრივ სფეროსი ჩარევით გამოიხატება, მართლზომიერია. ასევე მართლზომიერია ზიანი,რომელიც მოცემულ ვითარებაში შეიძლება დადგეს. ამსათან, თუ საფრთხის აცილების საბაბით,შემსრულებელი განზრახ აყენებს ზიანს მეპატრონის ან სხვა პირის ქონებას, შესმსრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება დელიქტური ვალდებულების წესით.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მოიცავს შემთხვევას,როცა სხვა პირის პიროვნების ან ქონების დაცვის მიზნით

ზიანი ადგება თავად შემსრულებელს მისივე მოქმედებით. სხვისი საქმეების სემსრულებელი სებოჭილია კეთილსინდისიერების მორალურ -სამართლებრივი პრინციპებით. შემსრულებლის ქონებრივ ან არაქონებრივ სფეროსი დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება,თუ საფრთხე მისივე განზრახვით ან გაუფრთხილებლობით შეიქმნა ან საფრთხის აცილების საშუალებების შერჩევისას ზიანი მისი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით დადგა. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით შემსრულებლის ქონებრივ ან არაქონებრივ სფეროში დამდგარი ზიანისათვის ,თუ საფრთხის სემქმნელი დელიქტი სახეზე არ არის,პასუხს აგებს პირი,ვისი სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 971 მუხლის თანახმად შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება. შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ.
შემსრულებლის ვალდებულება - შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს საქმის შესრულების შესახებ და გააგრძელოს დაწყებული საქმე ვიდრე მეპატრონე არ შეძლებს თვითონ იმოქმედოს, გამომდინარეობს იმ კეთილსინდისიერების ვალდებულებისაგან, რაც შემსრულებელს აკისრია 969-ე მუხლის საფუძველზე. თუკი შემსრულებლისათვის ცნობილი გახდა პრინციპალისგან ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რომ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას, მაშინ მან სხვისი საქმეების შესრულება უნდა შეწყვიტოს. როგორც უკვე ვთქვით დაწყებული საქმის მეპატრონისთვის შეტყობინებით არ ამოიწურება გესტორის მოვალეობები.ის ვალდებულია გააგრძელოს საქმის შესრულება, ვიდრე მეპატრონეს ან მის უფლებამონაცვლეს ან კანონიერ წარმომადგენელს თავად არ მიეცემა შესაძლებლობა გააგრძელოს გესტორის მიერ დაწყებული საქმის შესრულება. შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენას ეხება 972 მუხლი რომლის თანახმად შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს მეპატრონეს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო. 972-ე მუხლის საფუძველზე გესტორი ვალდებულია პრინციპალს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმის შესახებ. ძალიან საინტერესოა ამ მუხლის მეორე წინადადება, რომელიც მოთხოვნის დამფუძნებელია და განსაზღვრავს მეპატრონის უფლებას მოსთხოვოს შემსრულებელს გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო.

საინტერესო ამ მუხლში გახლავთ ის, რომ იგი არ განსაზღვრავს შემსრულებლს ვალდებულებას, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების პროცესში მიიღოს სარგებელი ან ნაყოფი ამ ქონებიდან. მასზე ვერ გავავცელებთ 163-ე მუხლით გათვალისწინებული არაუფლებამოსილი მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ანაზღაურების ვალდებულებას, რადგან გესტორი ამ შემთხვევაში 155-ე მუხლის საფუძველზე არ წარმოადგენს ნივთის მფლობელს. ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან შეიძება ითქვას ის, რომ ამ მუხლის მეორე წინადადება არ აკისრებს გესტორის პასუხისმგებლობას მისი ბრალით ქონებიდან ნაყოფის მიუღებლობაში და ის

მხოლოდ ავალდებულებს შემსრულებელს დააბრუნოს ის ნაყოფი და სარგებელი რომელიც მან თვითნებურად მიიღო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხლი გახლავთ მოთხოვნის დამფუძნებელი და ის განსაზღვრავს შემსრულებლის უფლებას მოსთხოვოსმეპატრონეს შესრულების დროს წარმოშობილიაუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ამ მუხლის საფუძველზე პრინციპალი ვალდებულია გესტორს აუნაზღაუროს მხოლოდ ის ხარჯები, რომელთა გაღება შემსრულებლის მხრიდან აუცილებლობით იყო გამოწვეული. ხარჯების აუცილებლობა კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემობებიდან გამომდინარე უნდა იქნეს დადგენილი. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მიზნად არ ისახავს რომელიმე სხვა , ახალი, სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობას. ამიტომ სხვისი საქმეების შესრულების შედედად სახეზეა გესტორის და მეპატრონის ანგარიშების გასწორება და არა მეპატრონის მხრივ რაიმე ახალი ვალდებულების წარმოშობა.მეპატონე გესტორს აუნაზღარებს მხოლოდ იმ ხარჟებს რომელთა რომელთა გაღება შემსრულებლის მხრივ აუცილებელი იყო.

სკ. 974-ე მუხლის პირველი პუნქტი არის მოთხოვნის დამფუძნებელი და განსაზღვრავს მეპატრონის უფლებას მოსთხოვოს შემსრულებელს შესრულებითგამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული მოთხოვნის რეალიზაციისათვის საჭიროა სახეზე იყოს: 1 - სხვისი საქმეების შესრულება, 2 - საქმეთა შესრულება უნდა ეწინააღმდეგებოდეს მეპატრონეს ინტერესებს ან არ შეესებამებოდეს მას, 3 - შემსრულებელმა უნდა იცოდეს ამის შესახებ, 4 - საქმეების შესრულების შედეგად მეპატრონეს უნდა მიადგეს ზიანი. გაწეული ხარჟების ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია : 1) თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას და ინტერესებს
2)თუ შემსრულებელს შეეძლო ამის შესახებ ცოდნოდა იგი ვალდებულია ზიანი აანაზღაუროს.

როგორც 969-ე მუხლის კომენტარში მოგახსენეთ, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისათვის საჭიროა სახეზე იყოს 4 პირობა: 1 - საქმეების შესრულება, 2 - სხვისი საქმე, 3 - დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე, 4 - სხვისი საქმის შესრულების სურვილი. 975-ე მუხლი განსაზღვრავს მეოთხე პირობის (სხვისი საქმეების შესრულების) არ არსებობს შემთხვევას, ამ შემთხვევაში კი გამოყენებული უნდა იქნეს უსაფუძვლი გამდიდრების წესები (976-991 მუხლები).

სხვა პირის ინტერესებისთვის ფაქტობრივი და იურიდიული საქმიანობა შეადგენს დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების აუცილებელ პირობას. შესაძლებელია გესტორისთვის უცნობი იყოს პიროვნება, ვისი ინტერესებისთვისაც მოქმედებს, ეს ხელშემშლელი გარემოება არ იქნება მისი მოქმეთება რომ სხვისი საქმის შესრულებად ჩაითვალოს. თუ შემსრულებელი ვარაუდობდა რომ იგი საკუთარი ინტერესებისატვის მოქმედებდა, შემსრულებელი მოქმედებიტ კი სხვა პირმა უშუალო სარგებელი მიიღო, მხარეების მიმართ გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების წესები.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი II ტომი IV 2001

- ზ. ახვლედიანი - ”ვალდებულებითისამართალი”, თბილისი,1999 წელი,

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი